



# სახელმწიფო ინსპექტორის სამსახური


## საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობა /2020 წლის 10 დეკემბერი - 2021 წლის 30 ივნისი/

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 49-ე მუხლის შესაბამისად, დოკუმენტში ასახულია ინფორმაცია სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის მიერ 2020 წლის 10 დეკემბრიდან 2021 წლის 30 ივნისის ჩათვლით პერიოდში საჯარო ინფორმაციის გაცემისა და პერსონალურ მონაცემთა დამუშავების შესახებ.

### საჯარო ინფორმაციის გაცემის მოთხოვნა

2020 წლის 10 დეკემბრიდან 2021 წლის 30 ივნისის ჩათვლით სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურში შემოვიდა საჯარო ინფორმაციის გაცემის 40 (ორმოცი) მოთხოვნა. აქედან:

#### შემოსული მოთხოვნების რაოდენობა



3 (სამ) შემთხვევაში მოთხოვნა დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, რადგან:

- 01 (ერთ) შემთხვევაში მოთხოვნილი იყო სახელმძღვანელო, რომელიც რედაქტირების ეტაპზეა;
- 01 (ერთ) შემთხვევაში მოთხოვნილი ინფორმაცია სრულად არ იყო დაცული/აღრიცხული სამსახურში;
- 01 (ერთ) შემთხვევაში მოთხოვნილია მესამე პირთა პერსონალური მონაცემების შემცველი დოკუმენტები, კერძოდ სახელმწიფო ინსპექტორის 2018/2019 წლებში საჯარო სექტორის მიმართ მიღებული ყველა გადაწყვეტილება, რომლებიც ეტაპობრივად გაიცემა ფიზიკურ

პირთა იდენტიფიცირების გამომრიცხავი ფორმით (ამ დროისთვის გაცემულია 79 გადაწყვეტილება).

## **საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის გასაჩივრება**

2020 წლის 10 დეკემბრიდან 2021 წლის 30 ივნისის ჩათვლით სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურს გადაწყვეტილება საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის თაობაზე არ მიუღია და შესაბამისად ასეთი გადაწყვეტილება არც გასაჩივრებულა.

## **საჯარო ინფორმაციაში შესწორების შეტანის მოთხოვნა**

2020 წლის 10 დეკემბრიდან 2021 წლის 30 ივნისის ჩათვლით სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურში არ შემოსულა მოთხოვნა საჯარო ინფორმაციაში შესწორების შეტანის შესახებ.

## **საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის საფუძვლები**

საჯარო ინფორმაციის გაცემის მოთხოვნის ნაწილობრივ დაკმაყოფილების ან დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას, სამსახური ეყრდნობოდა საქართველოს ზოგად ადმინისტრაციულ კოდექსს და „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონს.

## **ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მოთხოვნათა დარღვევა**

სამსახურის თანამშრომელთა მიერ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მოთხოვნათა დარღვევის შემთხვევა არ გამოვლენილა. შესაბამისად, აღნიშნულ საკითხზე დისციპლინური წარმოება არ ჩატარებულა არც ერთი თანამშრომლის მიმართ.

## **ხარჯები**

- ✓ საჯარო ინფორმაციის დამუშავებისა და გაცემის ხარჯმა შეადგინა 0 ლარი (დოკუმენტები მოთხოვნილი და გადაცემული იქნა ელექტრონული ფორმით).
- ✓ არ წარმოშობილა გასაჩივრებასთან დაკავშირებული ხარჯი.

## **გადაწყვეტილების მიმღები თანამშრომლის ვინაობა**

2020 წლის 10 დეკემბრიდან 2021 წლის 30 ივნისის ჩათვლით სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურში საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელია იურიდიული დეპარტამენტის უფროსი - ლანა ხუნაშვილი. შესაბამისად, იურიდიული დეპარტამენტის უფროსი იღებს გადაწყვეტილებას საჯარო ინფორმაციის მოთხოვნათა დაკმაყოფილების/გაცემაზე უარის თქმის შესახებ.

საჯარო ინფორმაციის მოთხოვნა შესაძლებელია ელექტრონული ფოსტის მეშვეობითაც - [foi@stateinspector.ge](mailto:foi@stateinspector.ge).

## საჯარო მონაცემთა ბაზები და პერსონალურ მონაცემთა დამუშავება

---

- ✓ „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19 მუხლის შესაბამისად, სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის ვებგვერდზე განთავსებულია ფაილურ სისტემათა კატალოგების რეესტრი (<https://catalog.pdp.ge/>). ამავე ვებგვერდზე განთავსებულია სახელმწიფო ინსპექტორის გადაწყვეტილებების რეესტრი (<https://personaldata.ge/ka/decisions>), სადაც გადაწყვეტილებები გასაჯაროებულია მოქალაქეთა და კერძო სამართლის იურიდიული პირების იდენტიფიცირების გამომრიცხავი ფორმით.
- ✓ სახელმწიფო ინსპექტორის სამსახური „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული დამუშავების საფუძვლებისა და პრინციპების შესაბამისად, ფიზიკური და იურიდიული პირების განცხადებების/ნებართვების განხილვის, საგამომიებო უფლებამოსილებისა და საქართველოს კანონმდებლობით დაკისრებული სხვა უფლებამოსილების განხორციელების ფარგლებში ამუშავებს პერსონალურ მონაცემებს. სახელმწიფო ინსპექტორის მიერ მიღებული გადაწყვეტილებები, რომლებიც შეიცავს განმცხადებელთა და მესამე პირთა პერსონალურ მონაცემებს, მესამე პირებს გადაეცემათ იდენტიფიცირების გამომრიცხავი ფორმით.